№ 266. 17 დეკემბერი, ოთხშაბათი. 1866—1880 17 დეკემბერი. ოთხშაბათი. № 266

რედაქცია
ცალკეთინის ბრილანტექტზე, თ. ივ. კ. მუხრანსკის სახლეში, კლუბის ქვემოთ.

ხელის-მოწერა
მიიღება „დროებაში“ „ივერიის“ რედაქციაში. ეარეშე ადგილებთოთვის: Въ Тифлисъ, въ редакціи „Дроэба“ и „Иверіи“

„ДРОЕБА“—„ИВЕРИИС“ ФАСИ

წელიწადში. 6 თვეს. 3 თვეს
„დროებაში“ „ივერიაში“ ერთად. 13 მან. 7 მან. 4 მ.
ცალკე { „დროებაში“ 9 მან. 5 მან. 3 მ.
{ „ივერიაში“ 6 მან. 4 მან. 2 მ.
ალკანშერი „დროებისა“ ღირს 5 კაპ. „ივერიისა“ 2 მან.

დროება

გამოდის ყოველ-დღე ოროშაბათს გარდა

ფასი განცხადებისა
ერთი ადგილი ასოზე 1 კაპ., ნაკეთულებრივად ასოზე ... ნაკეთ ასოზე ... კაპ. ნაკეთულებრივად ასოზე ... ...

ლითაც მისს მაღალ-ყოვლად სამღვდელოს საქართველოს ეგზარხოსს მიენიჭა უფლება, რომ თავის ნებითა და ამორჩევით დანიშნოს საქართველოს სასულიერო სასწავლებლების ზედამხედველები (სმოტრიტლები) და ზედამხედველების თანაშემწენი.

„სასულიერო სასწავლებელთა წესდებით, ზედამხედველებს დღემდინ სამღვდელოთა კრება არჩევდა ხოლმე კენჭით და ამათ თანაშემწეთ კი სასწავლებლების გამგეობა; ამორჩეული კანდიდატები ეგზარხოსისათვის უნდა წარედგინათ დასამტკიცებლად.

„ბამოცდილებამ აღმოაჩინა, რომ ამ ზედამხედველებისა და იმათ თანაშემწეების ამორჩევის დროს ყოველთვის დიდი გავლენა ჰქონდათ ქართველების პარტიებს და ამ გავლენას ისინი ყოველთვის რუსების საზარალოდ და შეურაცხ-ყოფისათვის ხმარობდნენ.“

უწმინდესის სინოდის განკარგულებაზედ ჩვენ არა გვეთმის-რა. ამას წინათ, როდესაც პირველად გავარდა ხმა, მაღალ-ყოვლად სამღვდელო ეგზარხოსი იოანიკი ცდილობსო, რომ ამორჩევითი უფლება ჩამოერთვას საქართველოს სამღვდელოებას, მაშინ გამოვთქვით ჩვენ ამ საგანზედ ჩვენი აზრი; მაშინ ვთქვით და ეხლაც მხოლოთ იმის გამეორება შეგვიძლიან, რომ ეს განკარგულება არ არის საჭიროებისაგან გამოთხოვილი, რომ [illegible] ჩება ჩვენი სასულიერო სასწავლებლებისათვის და სხვ.

მოვითმინოთ რამდენიმე წელიწადი და ჩვენ სრული იმედი გვაქვს, რომ ისინიც კი, ვინც ეს ახალი განკარგულება გამოსცა, ვინც სამღვდელოებას ერთი უმძიმეს უფლებათაგანი ჩამოართვა, ისინიც კი დარწმუნდებიან, რომ ამ გვარად საქმის წაყვანა არ ვარგებულაო, ძველებური წესი უკეთესი იყოვო.

მაგრამ, ვიმეორებთ, ამაზე ახლა ჩვენ არა გვეთქმის-რა.

მაგირაერად ზემოხსენებულს შენიშვნაში არის მეორე მხარე, რომელიც ჩვენ არ შეგვიძლია უპასუხოდ დავაგდოთ.

„ბამოცდილებამ დაამტკიცაო, რომ სასულიერო სასწავლებელთა ზედამხედველებისა და იმათ თანა-შემწეების კენჭის-ყრის დროს, ქართველების პარტიას ყოველთვის დიდი გავლენა ჰქონდა და ამ **გავლენას ისინი ყოველთვის რუსის მასწავლებლების საზარალოდ და შეურაცხ-ყოფისათვის ხმარობდნენო.**“

ამ უკანასკნელ დროს ორი შემთხვევა მოხდა, რომელმანც გააბრაზა ზოგიერთი რუსის ცრუ-პატრიოტები და აფიქრებინა იმათ, რომ ქართველ მღვდლებს რაიმე უკმაყოფილება ჰქონდესთ სასულიერო სასწავლებლის იმ რუსის მასწავლებლებზედ, რომელნიც ზედამხედველებისა და ამათ თანაშემწის ადგილს ეძიებდნენ. ეს ორი მაგალითი იყო, ერთი თფილისის სასულიერო სასწავლებელში და მეორეც ოზურგეთისაში.

თფილისის სასულიერო სასწავლებელში ოთხი კანდიდატი იყო: ორი რუსი და ორიც ქართველი. სამღვდელოებამ უპირატესობა მისცა ქართველ კანდიდატებს.

ოზურგეთის სასულიერო სასწავლებელში, თუ არ ეს-ცდებით, მხოლოთ ერთი კანდიდატი იყო ზედამხედველის თანამდებობაზედ და სამ-

პირველ ამ გარემოებათაგანმა განსაკუთრებით გაანჩხლა დაწუნებული რუსი-კანდიდატები: იმათ დაიწყეს წერა და ყვირილი, რომ ქართველების პარტია შესდგაო, ჩვენ რუსებს არ გვირჩევენ ზედამხედველებათაო, ყველგან ქართველები უნდათ გაამწესონო, აქ რაღაც სხვა მიზეზი და განზრახვა არისო და სხვ. და სხვ.

არავითარი საფუძველი არ ჰქონდა და არცა აქვს ამგვარ გოდებასა და ბეზღობას. საქმე ძალიან უბრალოთ აიხსნება:

ჩვენს სასულიერო სასწავლებლებში ქართველ სამღვდელოების შვილები იზრდებიან იმისთვის რომ შემდეგ საქართველოს ხალხში აასრულონ მღვდელ-მოქმედება და იქადაგონ მღვთის სწავლა. ქართველი მღვდლები ფიქრობენ რომ იმათ შვილებისათვის იმისთანა ოსტატები არიან საჭირო, რომელთაც შაგირდების სიტყვა ესმოდესთ და რომლის სიტყვაც შაგირდებმა გაიგონ. და რადგან შაგირდები სულ ქართველები არიან, ამის გამო ცხადია, რომ სამღვდელოება უპირატესობას ქართველ კანდიდატებს აძლევდა.

ერთი მითხარით—რა არის ამაში გასაკვირველი და დასაძრახისი? სად არის აქ რაღაც პარტიობა, მიდგომა? ვისი შეურაცხ-ყოფა და ზარალია აქ?

სამღვდელოება თავის შვილების ოსტატებად, იმისთანა კაცს ეძებს, რომელიც უფრო კარგათ აასრულებს თავის მოვალეობას. მოიყვანეთ რუსი, ფრანცუზი, გერმანიელი, გოტენდოტი და დარწმუნებული ვართ, რომ, თუ სამღვდელოება დაინახავს, რომ ეს რუსი ან ფრანცუზი ქართველზე უფრო მომეტებულ სარგებლობას მოუტანს სასულიერო სასწავლებელს, ქართველს გააშვებს და რუსს ან ფრანცუზს ამოირჩევს.

ხალხოსნობას გვარტომობას აქ არავითარი ადგილი არ უჭირიეს; აქ პირ-და-პირი ანგარიშის საქმეა: თუ უფლება მაქვს ამორჩევისა, იმას ამოვარჩევ, ვინც ჩემ საქმეს უფრო გამოადგება.

ეს უბრალო გარემოება ვერ გაუგიათ ზოგიერთებს და სულ სხვა ფერი და მნიშვნელობა მისცეს თფილისასა და ოზურგეთის სას. სასწავლებელთათვის ქართველების ამორჩევას ზედამხედველებად.

ახალი ამბები

„ვეფხვის-ტყაოსნის“ შესასწორებლათ შემდგარის რედაქციის მოთავეს, თავ. ბრიგოლ დიმიტრის ძე ორბელიანს, შემდეგი წერილი გაუგზავნია იმ პირებთან, რომელთანაც რედაქციას ეგულებოდა ხელთ-ნაწერი „ვეფხვის ტყაოსანი“:

„ქართულია გაზეთით მოხსენებული გექნებათ, რომ არის სურვილი შეთანხმდეს დაბეჭდილი „ვეფხვის-ტყაოსანი“ სხვა-და-სხვა ხელთ-ნაწერ „ვეფხვის-ტყაოსნებთან“. ამისთვის მოწვეულნი არიან ქართულის მცოდნენი პირნი და აგრეთვე ყოველნიენი, ვისაც ექნება ხელთ-ნაწერი „ვეფხვის ტყაოსანი“ ითხოვონ წიგნი ამ კეთილის საქმის მოსურნეთა.

„მე თვით მივიღე მონაწილეობა ამ სასარგებლოს საქმეში და უმორჩილესად გთხოვთ, თუ გქონდესთ, ან თუ შოვნა შეგეძლოსთ, დროებით გამოგვიგზავნოთ ქვემოთ მოყვანილი ადრესით ხელთ-ნაწერი „ვეფხვის-ტყაოსანი“.

„დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ შემდეგ შესწორებისა თქვენი წიგნი უნაკლოთ მოგერთმევათ“.

თქვენი გულითად პატივის-მცემელი
თავადი გრიგოლ ორბელიანი.

* * *

დანიშნული 17 დეკემბერს ბენეფისი მარიამ აბაშიძისა-საფაროვისა, გადაიდვა შემდეგისათვის.

* * *

ქალაქში ლაპარაკობენ, რომ კავკასიაში სწავლა-განათლების მზრუნველს ბ. ინოვსკის სახალხო განათლების მინისტრისაგან წინადადება მოუვიდაო, რომ ეკისრნა პეტერბურღის სამასწავლებლო მაზრის მზრუნველის თანამდებობა. მაგრამ ამბობენ, რომ, დიდის მთავარის კავკასიის ნამესტნიკის წინადადებით, ბ ინოვსკი ერთს წელიწადს მაინც კიდევ დარჩე-

---

ლიდამ გამოგზავნილნი, სამწუხაროთ დარჩენ დატუსაღებულნი...

სოფიაში ჩემი საქმე ორი დღის განმავლობაში გარიგდა; მაგრამ ათი დღე ვიარე ქუჩა-ქუჩა და ერთი ოთახი ძლივს ვამოვენ. თუმცა ქირით ბევრი სახლებია, მაგრამ ცარიელი შიშველა კედლების მეტი არა მოიძებნება-რა და ისიც საშინელი ძვირი: პატარა ოთახი ოცი, ოც-და-ხუთ მანეთ ნაკლებ ვერ იშოვნის კაცი, ისიც ოქროს ფულით.—ეს სიძვირე იმას მიეწერება, რომ სოფია ახალი სატახტო ქალაქია ბულგარიისა და სასამართლოებისათვის ბლომა სახლები სჭირიანთ ვიდრ.მდის საკუთრივ აშენებდნენ, და მეორეც—მთლათ ბოლგარიიდამ დეპუტატები აქ არიან ამჟამად შაყრილნი, „სახალხო კრებას შეადგენენ“—(**народното съ броние**);ესენი ადგენენ ახალ კანონდებულებას და განიხილავენ და სხვა და სხვა წინადადებას. კრება გასტანს ქრისტეშობისთვის თხუთხმეტამდის ანუ ოცამდის, შემდეგ დაიშლება, ვიდრე მომავალ წლამდის.

ამ დღეებში კარგი მუშტის-კრივი გაიმართა ამ სახალხო კრებაში? მიზეზი ის იყო, რომ როდესაც თავმჯდომარემ უთხრა მინისტრის კანდიდატს ბატ. სტოილოვს წაეკითხნა სახალხო ახლად აღმორჩეული მინისტრების სახელ-გვარი, ამ დროს ერთმა წარმომადგენელთაგანმა კრებიდამ, ქ. ტირნოვს მცხოვრებმა ბატ. ურბანოვმა ჰკითხა მიზეზი ძველი მინისტრების გამოცვლისა. სტოილოვმა უპასუხა: „თქვენი საქმე არ არისო... ჩუმათ იყავითო!“ ურბანოვმა მაინც განიმეორა კითხვა; მაშინ სტოილოვმა დაიძახა ბრძანებითი ხმიდ: „ბაიყვანეთ აქედამაო!“ ურბანოვმა ბევრი აღარ მოითმინა, წარმოდგა ფეხზედ და სახალხოთ დაიყვირა:—„წადით, თქვენს ახალ მინისტრებსაც თავზედ ლაფი (უფრო ცუდი სიტყვა სთქვა) გადავასხითო!..“ და დაჯდა თავის ალაგას. ამ დროს მოვიდნენ ორნი და გაიყვანეს ურბანოვი გარეთ. კრებაში შეიქნა ჩოჩქოლი და ალიაქოთი! თავ-მჯდომარემ ზარის წკარუნით ძლივს დააშოშმანა ხალხი...

როდესაც კრება დაიშალა, სტოილოვმა წაავლო გულის პირში ხელი ურბანოვს დერეფანში მდგომს და უთხრა:

— აბა, ეხლა კრებაში აღარა ვართ და უნდა გავსწორდეთო!“ ურბანოვმა ბევრი აღარ აცალა გაუშალა და კარგი „ალი ყულის სილა სთხლიშა თქვენს მინისტრის კანდიდატს სტოილოვს... ამ დროს წაეხვიენენ ყურბანოვს სხვები და კარგათ მიჩეჩქვეს... ტანისამოს შემოგლეჯილი, თავ-შიშველი, ტირილით, როგორც იყო დაეხწია და მიიჭრა პალატში მთავართან (კნიაზთან) საჩივლელად...

ამისთანა შესანიშნავმა მოქმედებამ ისე ჯუქმათ, უყურადღებოთ ჩაიარა, რომ მხოლოდ ურბანოვი გამორიცხეს სახალხო კრებიდამ.

ვინც ოსმალეთის მფლობელობის დროს თოკიდამ გაქცეულები იყვნენ, ეხლა მინისტროობას, ეძებენ და ზოგიერთებზედ ეჭვიცა აქვსთ, რომ ვითომც შესყიდულნი იყვნენ უცხოეთელებისაგან, რომ რუსეთის გავლენამ იკლოს, როგორც ბულგარიაში, ეგრეთვე მთლათ სლავიანთა შორის. —

ამასთანავე სოფიაში ამ ჟამათ საღვდელოთა კრებაა, სვეთა-მორის არიან მიტროპოლიტნი და არქიერნიც, საეკლესიო კანონის დასაფუძნებლათ: რომ სასულიერო უწყება ან სამღვდელონი უნდა ექვეშევერდომებოდნენ საქალაქო (სახალხო) კანონ-დებულებას თუ არა? ამ საგანზედ ჯერ არა გადაწყვეტილა-რა,მოლაპარაკება აქვსთ ჯერ კიდევ.

ბ. ბრუმეჯი.

სოფია, 30 ნოემბ. 1880.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ჩვენში იმ თანამდებობაზედ, რომელიც ახლა უჭირავს.

* * *

ჩვენ შეეიტყეთ, რომ Ქუთაისის სასოფლო შკოლების დირექტორი ბ. მარსოვი სტავროპოლში გადაჰყავთ ამავე თანამდებობაზედ.

Თუ ეს ამბავი მართალია, სამწუხარო იქნება, რადგან ბ. მარსოვმა ადგილობრივი საჭიროება სახალხო განათლებისა კარგათ იცოდა და ამას უცხო ქვეყნიდამ მოსულზე უფრო ეადვილებოდა ამ საჭიროების დაკმაყოფილება.

* * *

მეიდნის უბნელები, ხარფუხელები და სხვა იქით მხრის ქალაქის მცხოვრებნი სჩივიან, რომ ჩვენს ქუჩებს წელიწადში ერთხელაც არ ჰგვიანდ და ამის გამო ახლა, როცა თოვლი დადნა, საშინელი ტალახი დგებაო.

* * *

ჩვენ გვითხრეს, რომ ყოვლადსამღვდელო Ალექსანდრე ეპისკოპოსს ამ მოკლე ხანში გარდაუცია დასაბეჭდად ქადაგებანი მეთვრამეტე საუკუნის გამოჩენილ საეკლესიო მქადაგებლის ნეკრესის ეპისკოპოსის Აბბროსისა. მომავალ 1881 წელს ეს ქადაგებანი დაიბეჭდებაო.

* * *

Გაზ. „ᲙᲐᲕᲙᲐᲖᲘ“ გვაცნობებს, რომ პირველი ნომერი ახალი რუსულის გაზეთისა „Სასამართლო Ფესები“ მომავალ იანვრის 4-ს გამოვაო.

* * *

„Ბოლოსში“ იწერებიან Ოდესსიდამ შემდეგ ამბავს:

„Ამ დღეებში „Იუნონის“ ცეცხლის გემმა მოიტანა აქ Ბათუმიდამ 9,000 ფუთი ვაშლი და ამას გარდა 25 ბოჩკა (კასრა) Ბათუმშივე დაყენებული ახალი ღვინო.

„Წელს Ქირიმში ძალიან ცუდი მოსავალი იყო ხილისა და ამის გამო ფუთი კარგი ვაშლი 6-7 მანეთამდინ ისყიდებოდა. Ბათუმში კი აქაურ ვაჭრებმა ფუთი ვაშლი ცხრა-ათ შაურად იყიდეს; გადმოტანა სამ შაურად დაუჯდათ Ოდესამდინ. Აქ კი თვით ნავსადგურზე ნარდათ ექვს-შვიდ აბაზად ჰყიდდნენ ფუთს და გირვანქობით ეს ვაშლი Ოდესაში ორ შაურ-თორმეტ კაპეიკ ნაკლებ არ იყიდება.

„Რადგან Ქირიმში წელს ცუდი ძოსავალი იყო ყურძნისა, ამიტომ ზოგიერთი ურიები Ბათუმში წავიდნენ და იქიდამ უნდოდათ ყურძნის მოტანა. მაგრამ Ბათუმის ყურძენს ერთობ თხელი კანი აქვს, იმის გადატანა არ შეიძლება. Ამის გამო ვაჭრებმა Ფეოდოსიიდამ საწურავი მაშინები წაიღეს, იქვე Ბათუმშივე გამოსწურეს ღვინო და კასრებით ჩამოიტანეს აქ. Ბათუმის ღვინო ძალიან სასიამოვნო სასმელია და კარგათაც იყიდება. Ვაჭრები ამბობენ, რომ ვედრო იმათ 2 მანეთად დაუჯდათ; აქ კი თითო ვედროს 3 მან. და 50 კაპ. ჰყიდიან“.

„ᲓᲠᲝᲔᲑᲘᲡ“ ᲙᲝᲠᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲪᲘᲐ

—

Მარტვილი, 4 დეკემბ. Სწორეთ უბედურ ვარსკვლავზედ დაარსებულა ეს ჩვენი სასულიერო სასწავლებელი: რაც რომ ოთხ-კლასიანათ გადაკეთდა, მას აქეთ (თერთმეტ წელიწადზე მეტია) არ დაჰკლებია მას შფოთი, ვაი-ვაგლახი, შური, ცილის-წამება, დაწვა, გაცდენა, გადათრევა-გადმოთრევა და სხვა ამ გვარი უბედურება.

Გადაკეთებისათანავე აღძრეს საქმე იმ განათლებულ პირებმა, რომელთაც ხელში ეჭირათ სასწავლებლის ბედის და უბედობის ჭახრაკი, რომ მარტვილი სოფელია და სასწავლებელი აქ რას ვარგაო, გონებითი და ზნეობითი გახსნა ბავშვებისა და მომეტებული ცოდნის გარდაცემა აქ შეუძლებელიაო, ერთი სიტყვით, სასწავლებლის რიგიან ფეხზედ დაყენება ფუჭი მეცადინეობა იქნება, და ამიტომაც სასწავლებელი უნდა იყოს ქალაქშიო.

მაგრამ კარგათ იცოდნენ ამის მქადაგებელ პირებმა, რომ სწორის გზით ადრე ვერ მიახწევდნენ თავის მიზნამდი, ამიტომაც არ ზოგავდნენ სხვა-და-სხვა გაიძვერულ საშუალებებსაც.

Სასწავლებლის გადაწყვეტისათანავე შესდგა განჩინება სასწავლებლის გადატანაზედ Ქუთაისში, იქონიეს რა მიზეზათ უქონლობა მარტვილში სხვა სახლისა, თუმცა ადგილათ შეიძლებოდა აშენება.

Ბადიტანეს სასწავლებელი Ქუთაისში სამღვდელოთა კრებებზედ.

Შემდეგ Უწმინდესის სინოდის გარდაწყვეტილებით, სასწავლებელი ისევ მარტვილში დააბრუნეს.

Სამეგრელომ დიდის აღტაცებით და სიამოვნებით მიიღო თავის დაკარგული სასწავლებელი. მაგრამ, საუბედუროთ ეს აღტაცება ხანგრძლივი არ იყო: მალე ხელ ახლად ჩამოვარდა შური და უკმაყოფილება სამეგრელოს სამღვდელოებაში, რომელიც გაიყო დასებათ; გამოჩნდნენ მქადაგებელნი და მოთავენი; თუ Ქუთაისში შეიძლებოდა გადატანა სასწავლებლისა, უფრო ადვილი არ არის მისი გადატანა Ახალ-Სენაკშიო! გაიძახოდნენ ერთნი. მაგრამ Ახალ-სენაკის დასმა ვერ მიახწია მიზნამდი: ‘ცრავალ-ჯერ სამღვდელოთ კრებამ მარტვილში კენჭით გაშავა Ახალ-სენაკი. Ვის ჰყავდა მოძულებული შვილი, რომელიც უნდა გამხდარიყო მსხვერპლათ Ახალ-სენაკის დაშხამულ ჰაერის, დამპალი წყლის და ადგილისა!

Ბოლოს, როგორც სამეგრელოის სამღვდელოებამ, აგრეთვე Უწმინდეს სინოდმაც გარდასწყვიტა დარჩენა სასწავლებლისა მარტვილში და ამის შემდეგ სენაკის ხსენებაც მოისპო ამ საგანზედ.

მაგრამ ჯერ-ჯერობით ამ დამტკიცებასაც არ მიეცა ძალა: ცრუ მზრუნველობა, შემოსილი ეითომც საზოგადო სარგებლობისადმი ლტოლვილებითა, მაინც თავისას შვრება. Გამოჰყო თავი ზუგდიდმაც. „—მე რით მჯობია Ახალ-სენაკი? მეც მინდა აქ იყოსო!“ Გაიძახის ზუგდიდი, დღემდის დაძინებულ და ყველასაგან მივიწყებული. Ამ ნაირათ შესდგა ზუგდიდის დასი სამღვდელოებისა, რომელიც დაუცხრომელათ ცდილობს სასწავლებლის გარდატანას.

Თუ რა დიდი შეცდომა იქნება ეს, ამის განმარტების ადგილი არ არის აქ; მხოლოთ ვიტყვი, რომ ყოველივე შესანიშნავ ევროპიულ მოძრაობას, ომიანობას, რომელიც ადვილი მოსალოდნელია, შეუძლია შეაჩეროს სწავლა, დახუროს სასწავლებელი და ბოლოს სასწავლებლის სახლიც, რომლის ასაშენებლათ დანიშნულია ორმოცა ათასი მანეთი, პეპლათ აქციოს.

Გასულ ნოემბრის პირველ რიცხვებში უეცრათ დადგა ზამთრის სიცივე; მოსწავლეები, საზაფხულო ტანისამოსში ჩაცმულნი, გაცივდნენ და გახდნენ ავათ ანთებით, რითაც მოკვდა ოთხი ბავშვი. Ამ შემთხვევით უნდოდათ ესარგებლნათ, და მაშინვე დაუკრეს საყვირი, გაავრცელეს ხმა, რომ გარდამდები სენი გაჩნდა მოსწავლეთა შორისო; მისწერეს Იმერეთის ეპისკოპოსს, რომ მოსწავლეები მწერებსავით იხოცებიან რაღაც უცნაური სენით, ექიმი მოგვაშველეო. Ქუთაისის გუბერნატორმა დაუყოვნებლივ გამოგზავნა ექიმი, რომელიც, მოვიდა თუ არა მარტვილში, შეუდგა ავათმყოფობის გამოკვლევას. მაგრამ გამოჩნდა, რომ არავითარი სენი, გარდა უბრალო გაცივებისა, არა ყოფილარა, არც იმდენი მკვდარი და ავათმყოფი, რამდენსაც ამბობდნენ. Ბადიდეს და გაეზვიადეს ეს საქმე მხოლოთ იმისთვის, რომ სასწავლებელი დაეხურათ და მიზეზი დაედოთ მარტვილზედ.

მეორე შემთხვევა. Თექესმეტს იმ თვესვე ღამე მოსულა ვიღაც სასწავლებელში, მოუტანია ისლი, დაუკრავს თხელ ყავარზედ, აუტანია სასწავლებლის ბალკონის ჭერზედ და ცეცხლი მოუკიდებია. Რაღაც ბედათ, ისლი დამწვარა, ყავარი გარუჯულა და ცეცხლი გამქრალა Ამ ნაირათ სასწავლებელი გადურჩა მეორეთ გადაწვას. Სასწავლებელს ორი ღამის ყარაული ჰყავს, მაგრამ იმ ღამეს ერთიც არ ყოფილა თურმე. მეორე დღეს პოლიციის პრისტავმა შეადგინა განჩინება, შემდეგ გამოკითხვისა, ერთმა მასწავლებელმა განაცხადა, რომ იმ ღამეს ზედამხედველთან ვიყავ და, როცა მოვბრუნდი სასწავლებელში გვიან საღამოს, ვიღაც მაღალი კაცი გადმოხტა სკოლიდამო... Აქ დარწმუნებით ამბობენ, რომ ეს არის ნამოქმედარი იმ დასისა, რომელიც ცდილობს სასწავლებლის მარტვილიდამ გარდატანას.

ᲩᲕᲔᲜᲨᲘ ყველანი ცდილობენ, დარჩეს სასწავლებელი მარტვილში, რადგან ყველა მარტვილსა ხედავს საუკეთესო ადგილათ სასწავლებლისთვის, მინემ სხვა რომელიმე კუთხეს სამეგრელოისას.

Მკრტვილელი.

ᲠᲣᲡᲔᲗᲘ

—

Მომავალის წლის მარტის თვიდამ შაქრის ბაჟი, ხაზინის სასარგებლოდ, იქნება ფუთზე ოთხი აბაზი.

—

Რუსეთის გარეშე საქმეთა სამინისტროსა და Გერმანიის ელჩს შუა მიწერ-მოწერაა იმის თაობაზედ, რომ იმ საქონლებზედ, რომელნიც ეკუთვნიან „Წითელი ჯვრის საზოგადოებას“, სამზღვარზე გარდმოტანის დროს ბაჟი აღარ იყოს.

ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲘ

—

Წარილი ამბები. Ფრანცუზული გაზ. „*Temps*“-ი ამბობს, რომ საფრანგეთმა სამჯერ მიმართა Ევროპას, რომ ყველა სახელმწიფოებს ერთად ეკისრნათ Ოსმალეთსა და საბერძნეთს შუა შუამავლობა. Გლადსტონმა კი თავიდამვე მუქარით წაიყვანა საქმეო; საფრანგეთი, რომელსაც ძალ-დატანება არასოდეს და არავიზედ არ უხმარია, ერთის ან მეორე მხრის დასაჩაგრავათ, ეხლაც იმას ცდილობს, რომ Ოსმალეთსა და საბერძნეთს შუა არ მოხდეს შეტაკება: არც ერთის მხარს არ დაიჭერს ის, მით უფრო, რომ როგორც მინისტრმა ᲙᲣᲛᲣᲜᲓᲣᲠᲝᲡმა აცნობა სახელმწიფოებს, საბერძნეთიც თანახმაა შერიგების თაობაზედ მოლაპარაკებისა, თუ კი Ოსმალეთი კეთილ-გონიერათ მოიქცევაო.

—

Ინგლისელ გაზეთს „*Times*“-ში სწერენ: „Თუ კი Ევროპის სახელმწიფოები მოილაპარაკებენ და, რასაც გარდასწყვეტენ, Ოსმალეთი დაიდებს ვალად, რომ შეასრულოს, მაშინ საბერძნეთიც უნდა დაარწმუნონ, მიიღოს ისევ გარდაწყვეტილება, წინაღმდეგ შემთხვევაში ის დაჰკარგავს Ევროპის პატივსა და თანაგრძნობას“.

—

Გამოჩენილმა ლუიზა მიშელმა აი რა სთქვა Როშფორსა და Გამბეტას შუა შეტაკებაზედ:

„Გამბეტამ დაგვიმტკიცა თვისი უშიერება და თუ ამის შემდეგაც არ გაახილეს ბელვილის ამომრჩეველებმა თვალი, საფრანგეთს ბოლო მოეღება.

„Გახსოვთდეთ, რომ Გამბეტას ჰსურს ომი, როგორც Ბონაპარტეს, და სურს მისთვის, რომ უფრო მაგარ ნიადაგზედ დააყენოს თავის დიქტატურა!“

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲜᲘ

იანვრიდან მომავალის 1881 წლისა, გამოიცემა, ქ. თფილისში, ახალი ქართული ეროვნული სალიტერატურო და საპოლიტიკო ჟურნალი

„ᲘᲛᲔᲓᲘ“

ამ ჟურნალს ექნება შემდგომი განყოფილება: 1, ბელლეტრისტიკა, 2, ისტორია, 3, ენციკლოპედია, 4, კრიტიკა, 5, გახსილება კავკასიის მსარის საზოგადობრივი მოვლინებებისა, 6, მიმოხილვა რუსეთის საზოგადობრივი მოვლინებებისა და 7, ჰოლიტიკა.

ფასი წლიურის გამოცემისა „გაგზავნით“ სხვა ადგილებში და შინ მიტანით თფილისში არის 8 მანეთი.

ხელის-მოწერა მიიღება თფილისში: რედაქტორის სადგომში საპერნის ქუჩაზედ № 41 და შავერდოვის გაზეთის საგენტოში.

გარეშე მკითხველებს შეუძლიანთ დაიბარონ ჟურნალი ამ ადრესით: Въ Тифлисъ. редактору грузинскаго журнала «Имеди» Саперная улица, № 41.

რედაქტორი და გამომცემი
ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲒᲣᲠᲒᲔᲜᲘᲫᲔ.

3—2

მიღებულია ჩაი, პირველი მოსავლისა, რევოლვერები, საჩაიები, კომფეთები, მურაბები და სხვ. და სხვ. 25 პროცენტით ნაკლებ იყიდება მირამ სადმე სხვაგან — **ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲣᲠ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲐᲨᲘ** არწრუნის გალერეიაში.

12—3

ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ

ᲒᲐᲛᲒᲔᲝᲒᲘᲡᲐᲒᲐᲜ

ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲒᲐᲛᲒᲔᲝᲒᲐ

საყოველთაოდ აცხადებს, რომ ამა დეკემბრის 5-ს გამგეობაში იყო დანიშნული ვაჭრობა (ტორგი) იჯარით გაცემაზედ სამის წლის ვადით, 1881 წლის 1 იანვრიდამ 1883 წლის 1 იანვრამდინ, იმ საქალაქო ბუდკებისა, სადაც ისყიდება ხელოვნური მადნის წყლები და რომელნიც შემდეგ ალაგებზე იმყოფებიან: ბალავინის პროსპექტზე—5 ბუდკა, ერევნის მეიდანზე—2, ალექსანდროვის ბაღის მახლობლად სახაზინო პალატის პირ-და-პირ—1, აბას-აბატის მეიდანზე—1 და ნავთლუღში—1; მაგრამ ეს ტორგი არ შესდგა, რადგან ჯეროვანი ფასი არავინ შეაძლია გამგეობას. ამის გამო ამ საგანზე ხელ-ახლად დანიშნულია ვაჭრობა ამ დეკემბრის 22-ს ქალაქის გამგეობის თან-დასწრებით.

პირობების (კანდიციების) ნახვა მსურველს შეუძლიან მუდამ დღე გამგეობაში, დილის 10 საათიდამ ნაშუადღევის 2-მდინ, კვირა-უქმ დღეებს გარდა.

3—3

---

26 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲡ

ᲤᲐᲔᲢᲝᲜᲨᲘ ᲓᲐᲐᲕᲘᲬᲧᲓᲐᲗ

ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲘᲡ ᲬᲘᲒᲜᲘ

ხელ-წერილებით და ანგარიშებით. მნახველს სთხოვენ „ჩეტსკი პრიუტში“ („უმაწვილების თავ-შესაფარებელში“) მოიტანოს, არსენალის ქუჩა, სახლი მულინისა, სადაც მიიღებს ჯეროვანს საჩუქარს.

3—3

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲐ

ერევნის მოედანზე № 2, კომმერციულ ბანკის ქვეშ, დაარსებულია წმინდა ქიახტის და ჩინეთის პირველი მოწევის ჩაის გასაყიდველად დ ასაუკეთესო ინგლისის საქონლებისა, მაგალითად: თოფების, რევოლვერებისა, ბოქლომთა, ტაბაკების (ფოდნოსი) კრავატების, დანა-ჩანგლების, საჩაიე, ჭიქების, შოკოლადის, კაკაოს, ვემრიელი სუკრის ერბო, სასურნებელის, საპონის, ცხვირ-სახოცების, შჩოთკი წინდების, ჩულქების, კარანდაშების, რკინის კალმების და სხვ...

(100—5)

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲒᲐᲛᲒᲔᲝᲑᲐ ამით აცნობებს ქ. ქუთაისის უძრავი მამულების მფლობელით, რომ 27 სექტემბერს ამა წლისას ქალაქის რჩევისგან დაიდვა გარდაწყვეტილება, რომლის ძალითაც **ᲓᲐᲤᲐᲡᲔᲑᲘᲗᲘ ᲨᲔᲛᲝᲬᲡᲐᲕᲚᲘᲡ (оцѣночнаго сбора) ᲨᲔᲛᲝᲬᲢᲐᲜᲘᲡ ᲕᲐᲓᲐᲗ ᲓᲐᲘᲜᲘᲨᲜᲐ** თვე იანვარი. ხოლო გარდამცილებელი ამა ვადისა ე. ი. პირველი იანვარისა, იხდის ჯარიმას მანეთზედ სამს მეოთხედს კაპეიკისას (3/4%) თვეში.

3—3

ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲐᲖᲔ ᲣᲙᲔᲗᲔᲡᲘ ᲐᲠᲐ ᲐᲠᲘᲡ-ᲠᲐ, ამაზედ შეიძლება დარწმუნდეს ყველა ინგლისის მაღაზიაში, არწრუნის გალერეიაში, სადაც მიღებულია დიდ-ძალი ᲩᲐᲘ 1 მოკრებისა, შოკოლადი, კაკაო ფრეისა და სხვა საქონელი: ქინის ღვინო და ხილის მარილი ციებისათვის; ხველების კანფეთები და სხვ. აგრეთვე დანა-ჩანგალი, ახალის სისტემის თოფები და სხვ.

15—9

ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲘᲗ

რადგან ინგლისის მაღაზია სასმენელეულით ვაჭრობას თავს ანებებს, ამის გამო ახლა ისყიდება: პირველის სორტის 3 წლის ხერესი და პორტვეინი ბოთლი 1 მან. და 50 კაპ., ძალიან კარგი 1 მან. და 20 კაპ., საუკეთესო კონიაკი—2 მან. იქვე ისყიდება 5,000 ფადნოსი და გასაღებები 8 კაპ., ინგლისის რევოლვერი 4 მანეთიდამ 35 მანეთამდინ, საუკეთესო ტარიელკები 2 მან. დუქინი, პალტო და მთელი ტანისაჭოსი 15 მან. და სხვ.

10—8

ᲬᲛᲘᲜᲓᲐ ᲡᲔᲚᲘᲡ ᲙᲝᲠᲢᲝᲜᲘ ისყიდება იეფათ **ᲡᲐᲛᲡᲚᲔ ᲛᲚᲔᲑᲠᲝᲚᲕᲘᲡ ᲤᲐᲑᲠᲘᲙᲐᲨᲘ** ᲔᲠᲔᲕᲜᲘᲡ ქუჩაზედ, ძველ დამოჟნის ახლო. ᲐᲗ დღეზედ ასუქებს ყოველ გამხდარ საქონელს.

5—4

ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲐ

Maison de confiance

შეადარეთ ნეგენი ჩაი—1 მ. 10 კ.	ᲥᲝᲚᲝᲛᲑᲘᲡ ᲩᲐᲘ—1 მ. 40 კ
— — —1—20	— —1—60
— — —1—40	— —1—80
— — —1—60	— —2— „
— — —1—80	— —2—50
საუკეთესო—2— „	— —3— „

იქვე ისყიდება სხვა საქონელიც: თოფები, რევოლვერები, კრაოტები, ჭურჭელი, ჩაიდნები, გასაღებები, დანები, კოვზები, ტაშტები, კალმები, ქაღალდი, შოკოლადი, კაკაო, კანფეტები, მურამები, მაგნეზია, უნაგირები, კლეიონკა, წინდები—კაცის და ქალის, ხელ-სახოცები, მაკინტოშინ კალენკორი—სულ ყველაფერი 25-დამ 50 პროცენტით უფრო იაფად, ვიდრე სხვა რომელსამე მაღაზიაში.

ᲕᲘᲜᲪ ქალაქს გარედამ 25 მანეთიდამ 1000 მანეთამდინ საქონელს გა) მოიწერს, გასაგზავნს არაფერს არ იხდის.

(100—70)

ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲨᲘ

ᲨᲐᲕᲔᲠᲓᲝᲕᲘᲡ ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲐᲒᲔᲜᲢᲝ

(ᲑᲝᲚᲝᲕᲘᲜᲘᲡ ᲞᲠᲝᲡᲞᲔᲥᲢᲘ, ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲝᲕᲘᲡ ᲑᲐᲦᲗᲐᲜ, ᲨᲐᲕᲔᲠᲓᲝᲕᲘᲡ ᲞᲐᲕᲘᲚᲘᲝᲜᲨᲘ.)

ᲓᲐᲘᲬᲧᲝ ᲮᲔᲚᲘᲡ-ᲛᲝᲬᲔᲠᲘᲡ ᲓᲠᲝ 1881 ᲬᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲧᲕᲔᲚᲐ დრო-გამოშვებითი გამოცემაებზე რედაქციისგან გამოცხადებულ ფასებით: ადგილობრივზე, რუსულზე და სამზღვარ—გარეთისაზე.

ᲑᲑ. ქალაქ გარეშე მცხოვრებელთ ამ ადრესით უნდა ინებონ მომართვა: **Въ Тифлисъ, въ газетное агентство В. Шавердова.**

25—22

ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲢᲧᲐᲕᲘᲡ ᲥᲐᲠᲮᲐᲜᲐ

ᲨᲣᲐ-ᲑᲐᲖᲐᲠᲨᲘ, მეტყაველების რიგზე, ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲕᲘᲡ სახლებში გავხსენი საწყობი (სკლადი) ყოველ-გვარ ტყავის საქონლისა და მაქეს ვაჭრებისა და მომხმარებელთათვის სხვა-და-სხვა სორტის ტყავები: **ᲬᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲚᲐᲜᲩᲔᲑᲘᲡ** (პადოშვის ტყავები), **ᲪᲮᲔᲜᲘᲡ, ᲘᲣᲮᲢᲘᲡ ᲓᲐ ᲐᲠᲞᲘᲚᲘᲡ ᲡᲐᲥᲝᲜᲔᲚᲘ**; აგრეთვე **ᲕᲘᲢᲘᲐᲭᲙᲔᲑᲘ, ᲬᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲧᲔᲚᲔᲑᲘ** (გალოკი), **ᲡᲘᲠᲝᲛᲘᲐᲢᲜᲘᲡ ᲢᲧᲐᲕᲔᲑᲘ, ᲣᲜᲐᲒᲘᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲐᲨᲘᲜᲔᲑᲘᲡ ᲠᲔᲛᲜᲔᲑᲘ.**

ᲧᲕᲔᲚᲐ ეს საქონელი ისყიდება იმ ფასად, რა ფასათაც ზავოდებში ისყიდება ხოლმე.

10—6

Принимается Подписка

НА 1881 ГОДЪ

НА

ЕЖЕДНЕВНУЮ ГАЗЕТУ

„КАВКАЗКІЙ КУРЬЕРЪ“

Подписная плата: городскимъ подписчикамъ, съ доставкою на домъ, по 4 руб. и иногороднымъ, съ пересылкою по почтѣ, по 5 руб. въ годъ; за полгода же первымъ по 3 руб. и послѣднимъ пе 4 руб.

Подписка принимается въ г. Тифлисѣ: въ конторѣ редакціи газеты „Листокъ Кавказскихъ Объявленій,“ въ газетномъ агенствѣ Шавердова и въ конторѣ нотаріуса Мамиконова.

Иногородные подписчики адресуютъ: въ г. Тифлисъ, въ редакцію газеты: **„КАВКАЗСКІЙ КУРЬЕРЪ,“** на углу Графской и Атаманской улицъ, въ верхнемъ этажѣ дома Квятковскаго.

ПРОГРАММА

Газеты „Кавказскій Курьеръ“

1) Правительственныя распоряженія. 2) Телеграммы. 3) Передовыя статьи. 4) Политическое обозрѣніе. 5) Внутренній отдѣлъ. 6) Внѣшній отдѣлъ. 7) Судебная хроника 8) Городское самоуправленіе. 9) Смѣсь. 10) Фельетоны. 11) Справочный указатель. 12) Казенныя, торговыя и частныя объявленія.

Редакторъ-издатель **М. И. Хитаровъ.**

3—3

Дозволено цензурою. Тифлисъ 16 Декабря 1880 г. Типографія Меликова ᲒᲐᲛᲝᲛᲪ. Ს. ᲛᲔᲚᲘᲥᲘᲨᲕᲘᲚᲘ. რედაქტორები ᲘᲚ. ᲭᲐᲕᲭᲐᲕᲐᲫᲔ ᲓᲐ Ს. ᲛᲔᲡᲮᲘ